საქართველოს პარლამენტი

საქართველოს კანონის პროექტი

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

კანონპროექტის დასახელება

საქართველოს პარლამენტის წევრები

შოთა ბერეკაშვილი, გიორგი ბარვენაშვილი, ანტონ ობოლაშვილი, ლევან მაჭავარიანი, ირაკლი მეზურნიშვილი

კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე

შოთა ბერეკაშვილი -

მომხსენებელი

საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე

შოთა ბერეკაშვილი -

წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარე

ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი

ვაჟა ქარუმიძე -

წამყვანი კომიტეტის აპარატის კანონპროექტზე პასუხისმგებელი პირი

ალექსანდრე ტაბატაძე -

საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

საბოლოო რედაქციისგან განსხვავებული ვერსია

პროექტი

საქართველოს კანონი

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 17.03.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010120000.05.001.017356) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შრომითი ბინადრობის ნებართვა, რომელიც გაიცემა უცხოელზე, რომელმაც მიიღო შრომითი საქმიანობის უფლება. საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში შრომითი ბინადრობის ნებართვა შეიძლება გაიცეს აგრეთვე პირზე, რომელიც საქართველოში ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელზედაც არ ვრცელდება „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება. უცხოელი შრომითი ბინადრობის ნებართვის მისაღებად სააგენტოს წარუდგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ დოკუმენტაციას;“.

2. მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისას სააგენტო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან

წერილობით ან ელექტრონული პროგრამის საშუალებით იღებს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი

თბილისი,

2026 წლის ... აპრილი.